ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5558899

ნომერი: AR1833033

თარიღი : 19.06.2021

გაცემის თარიღი : 20.08.2021

გაცნობის თარიღი : 20.08.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა, N 9; ქალაქი თბილისი , ევგენი მიქელაძის ქუჩა N9ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ცომაია პ/ნ 01025015668
- აწყურის ქ. კორპ. 3A ბინა 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რომელშიც გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. თქვენს მიერ წარმოდგენილი ლეგალიზების ბრძანებით ლეგალიზებულია სხვა ადგილები. ამდენად, კიბეზე დაშენებული (გადახურული მოცულობის) ნაწილის (რომლის რეკონსტრუქციასაც ახლა ითხოვთ I კლასის კუთხით) კანონიერება კვლავ ვერ დგინდება, შესაბამისად წარმოსადგენია მისი კანონიერების დამდგენი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე სამსახური ვერ იმსჯელებს.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს" 2016 წლის 24 მაისი №14-39 დადგენილების 29 მუხლის , მე3 პუნქტის დ) ქბეპუნქტის თანახმად დაუშვებელია ერთი შენობის განთავსება ერთზე მეტ მიწის ნაკვეთზე. თქვენს მიერ დაგეგმილია არსებულ სარდაფში ჩასასვლელი კიბის რეკონსტრუქცია ვინაიდან ერთი შენობა ორ მიწის ნაკვეთზეა განთავსებული (ძირითადი შენობა განთავსებულია 01.13.03.023.046 ნაკვეთზე, ხოლო მისი მიშენება 01.13.03.023.045 ნაკვეთზეა მოექცა მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად.) ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რაკი რეკონსტრუქცია ხორციელდება ორი ნაკვეთზე , იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენს საკითხზე მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება , საჭიროა პირველ რიგში მიმართოთ საჯარო რეესტრს და გააერთიანოთ აღნიშნული ნაკვეთები ან შეცვალოთ საკადასტრო საზღვარი ისე, რომ შენობა მთლიანად მოექცეს ერთი საკადასტრო საზღვრის ფარგლებში, ისე რომ ღიობებით არ დაირღვეს სამეზობლო მიჯნაც

დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge